ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ92. 922325515**

თარიღი:**12/09/2023**

მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" პუნქტის, "ე.ე“, და „დ.დ“ ქვეპუნქტების, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტის, "მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669-ე დადგენილების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 01 სექტემბრის Nგ-93.93232442 განკარგულების შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი1. გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზურფრუქტის ფორმით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნაწილი, ქალაქ ლაგოდეხში, ჯანელიძის ქუჩა N1-ში მდებარე (ს/კ 54.01.51.044) შენობის პირველი სართულზე-205.7კვ.მ. ფართი, ა(ა)ი პირი შეზღუდული შესაძლებლობებისა და მზრუნველობა მოკლებულთა ორგანიზაცია მადლი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი - 233146388) -2 (ორი) წლის ვადით.

/საფუძველი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "ეკონომისის სამსახური"-ს უფროსის 2023 წლის 11 სექტემბრის N06-922325412 მოხსენებითი ბარათი/.

მუხლი2. ამ ბრძანების ფარგლებში, ხელშეკრულების სამართლებრივი ფორმის მომზადება დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურს”, ხოლო ხელშეკრულების გაფორმება და მასზე კონტროლის განხორციელება- „ეკონომიკის სამსახურს“;

მუხლი3. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე;

მუხლი4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი